

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
2100 ზუგდიდი, რუსთაველის
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL
OF ZUGDIDI
№90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

17 იანვარი 2017წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის დაზიანებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 იანვრის №02/114 მომართვის (სარეგისტრაციო N 30/03 16.01.2017წ) საფუძველზე,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მოწონებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის დაზიანებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით წარმოდგენილი საპროექტო წინადადება;
2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მიღებული განკარგულების გადაგზავნა;
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაგნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალას ქ. №12).

მ. ნანავაძე



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი ა ლ ი ტ ი კ ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

N 02/114
13/01/2017

114-02-2-201701131640



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ მაიზურ ნანავას

ბატონო მაიზურ,

მოგახსენებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის მთავარი შენობა დაზიანებულია (დაზიანდა ხანძრის შედეგად) და სჭირდება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

აღნიშნული შენობის ავარიული მდგომარეობა საფრთხეს წარმოადგენს. შესაძლოა მთლიანად დააზიანოს როგორც გარე, ასევე შიგნითა ფართი, რაც თავისთავად გამოიწვევს იმ სიწმინდეების დაზიანებას, რომლებიც დაცულია მონასტერში.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ჩვენ უნდა შევადგინოთ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს.

პროექტის განსახორციელებლად სულ საჭირო თანხის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300 000 ლარს, რომელიც შესაძლოა დაფინანსდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ.

მდგომარეობას ვაგასებთ, როგორც გადაუდებელს, მომსახურება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოდინი გამოიწვევს ადგილზე სიტუაციის გაუარესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი ნორმატიული აქტი, მომსახურების გამარტივებული წესით შესყიდვის შესახებ.

პატივისცემით,

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა